გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



ამიერ-კავკასიის საქიმიო ლაბორატორია

ტფილისში

მიღებული აქვს ვერცხლის დიდი მედალი კავკასიის გამოფენაზედ

აკეთებს ყოველსავე სახმარებელს, ჯანისათვის არა საზიანოს, **საკოსმეტიკო ნივთიერებას**, საუკეთესო ღირსებისას, და აგრეთვე **საჰიგიენო იარა-ჭრილობათ შესახვევს მასალას.**

**ხელობაძეთ აქვს გეთებს:**

ფიჭვის წყალისა, რომელიც ერთს წუთს სწმენდავს ჰაერს, ჰაერის მჟავბადს ოზონს ჰმატებს და ბალზამის სუნს აძლევს.

პეპსინის ღვინისა a la Baudault (ისპანურის ღვინით), რომელიც ძალიან ჰშველის და ხელს უწყობს სტომაქის მუშაობას.

ო-დე-კოლონისა, საუკეთესო ღირსებისა.

მასტიკისა იატაკებისთვის.

მელნისა ანტრაცინისა და ალიზარინისა; ასლის გადასაღები მელანი არაფრით ჩამორჩება საზღვარ-გარეთისას, და

იოდაფორმით შეზავებული მარლისა.

უმთავრესი საწყობი იმყოფება: ფოსტის ქუჩაზედ, ფარმაციის მაგისტრის ვილარეტის აფთიაქში (წურანოვისებურ) და აგრეთვე უმაღლესად დამტკიცებულ კავკასიის საათვთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ტფილისსა და ბაქოს. (50—48—9)


ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ბ-ნთ წევრთა დამფუძნებელთა და ხსენებულის ბანკის მსესხებელთა კრებას, რომელიც ამ 1892 წლის 12 მაისს არის დანიშნული, განსახილველად წარედგინება, გარდა უკვე გამოცხადებულის საგნებისა, კიდევ შემდეგი მოხსენებანიც:

ა) იმის შესახებ, რომ ბანკს ნება მიეცეს ხოლმე დიდ-ვადიანი სესხი გასცეს ქალაქებს, ერობათ, საზოგადოებათ და საზოგადო დაწესებულებათ უძრავ ქონების დაუგირავებლად;

ბ) იმის შესახებ, რომ აჩქარდეს იმ ვალის გარდახდა, რომელიც ბანკის ქარვასლაზეა,

და გ) შეცვლილ და შევსებულ იქმნას ბანკის წესდების მე-89 პარაგრაფი. (3—2)


გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოებისა“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში:

„ახალი ანბანი“

ვლ. აღნიაშვილისა.

1) „ან“, წერა-კითხვა. . . . 10 კ.
2) „ბან“, წვრილ-წვრილი ლექსები . . . . . . . . . 10 კ.
3) „გან“, პატარ-პატარა ამბები. . . . . . . . . . 10 კ.
4) „დონ“, პატარ-პატარა ამბებივე. . . . . . . . . 10 კ.
5) „ენ“, გასართობი. . . . . 10 კ.

გამოვიდა ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ და „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიებში:

**ათაბაგნი**

ბექა და აღბუღა

და

მათი სამართალი,

ნ. ურბნელისა.

ფასი ათი შაური (50 კაპ.) (6—3)


## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი გრაფი ტატიშჩევი ამ თთვის 30 მცხეთას წაბრძანდება ტფილისის პოლიცმეისტერ ბ-ნ მასტიცკითურთ.

*** როგორც შევიტყეთ, „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ლატარიისათვის ქართველი ქალები, კნ. ნინო დავითის ასულის ერისთავის თაოსნობით, სხვა-და-სხვა ხელ-საქმეს ამზადებენ.

*** წერა-კითხვის საზოგადოების სალატარეიოდ შემოსწირეს: კნ. მარიამ ნიკოლოოზის ასულმა მაყაშვილისამ ახალი ვერცხლის სასუხრე, ყორხმაზ სოლომონის ძემ ოჰანეზოვმა ახალის ვერცხლის ორი შანდალი, ნორბლინგმა ახალის ვერცხლისავე სუდოკი, ელენე გაბაშვილისამ ყვავილიანი ძვირფასი ვაზა.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიაში გაცხარებული ეგზამენებია. ეგზამენებს მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი პალლადიც ესწრება. გუშინ, 28 აპრილს, ფოტოგრაფიული სურათი გადიღეს პირველ, მეორე და მეექვსე კლასის მოსწავლეებისა, რომელთ შორის რექტორიც იყო.

*** ახალმა საოპერო დასმა უკვე რამდენიმე ოპერა წარმოადგინა ტფილისის საზაფხულო თეატრში. ამ დასის წარმოდგენებში, როგორც შევიტყეთ, მიიღებს მონაწილეობას ჩვენი მომღერალი-ქალი მ. გ. ძნელაძისაც.

*** გუშინ, ამ თთვის 28, სასახლეში გათავდა გამოფენა საქველ-მოქმედო საზოგადოების სასწავლებლების მოსწავლე ქალების ხელ-საქმისა. მომეტებული ნაწილი ხელ-საქმისა უკვე გაიყიდა. რამდენიმე უფრო კარგად ნაკეთები ხელ-საქმე გაგზავნილ იქნება მსოფლიო გამოფენაზედ ჩიკაგოში.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისის პირუტყვთა მფარველს საზოგადოებას მთავრობისათვის უთხოვნია, ნება გვიბოძეთ ჩვენი საზოგადოება კავკასიის პირუტყვთა მფარველ საზოგადოებად იწოდებოდეს და მოქმედებითაც მთელს კავკასიაში ჰმოქმედებდესო.

*** სომხეთა პატრიარქ-კათალიკოზის ამოსარჩევად ოსმალეთიდგან ეჩმიაძინში მისულა სულ 46 დელეგატი, რუსეთიდგან—30 და სპარსეთიდგან—3.

*** 27 აპრილს ტფილისის 1 განყოფილების მომრიგებელმა - მოსამართლემ გადასწყიტა ვაჰანიანცის საჩივრის საქმე. ამ გარდაწყვეტილებით ვაჰანიანცის ადგილზედ დასახლებულნი მოვალენი არიან თავის შენობები ხუთის თთვის განმავლობაში აჰყარონ და ვაჰანიანცს ადგილი დაუცალონ, ან 1892 წლის თითო საჟენზედ 50 კაპეიკი იჯარა მისცენ ვაჰანიანცს.

*** „ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოებამ“ გადასწყვიტა საუკეთესო მოთხრობის პრემია მისცეს გ. ე. წერეთლის მოთხრობას: „რუხი მგელი“. იმავე საზოგადოებას განზრახვა აქვს ეს მოთხრობა დაბეჭდოს 1,200 ცალი.

*** კვირას, 26 აპრილს, არწრუნს ტფილისის სომხთა საზოგადოებამ სადილი გაუმართა „ლიონის“ ბალში. სადილს 150 კაცზედ მეტი დაესწრო. სხვათა შორის ამ სადილზედ სომხეთა სასულიერო სემინარიის ინსპექტორმა ბ-ნმა სპანდარიანმა სთქვა, რომ სომხეთა პოეტი რაფაელ პატკანიანი ძლიერ გაჭირვებულს მდგომარეობაშია და კარგი იქნება, რომ დავეხმაროთო. სადილზედ დამსწრე ხალხმა იქვე 200 მანათზედ მეტი ფული შეაგროვა პატკანიანის სასარგებლოდ. იმავე ბალში ხ. მალუმიანცის მიერ დაწერილი ხრიმიანის ბიოგრაფია ისყიდებოდა. მ. ხრიმიანი ერთი კანდიდატთაგანია კათალიკოზის ადგილზედ.

*** ამ დღეებში დაიბეჭდა ქალაქ ტფილისის 1892 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომლიდგანაც სჩანს, რომ ამ წელს მოელიან შემოსავალს 765,634 მანათს, ე. ი. 35,339 მანათით მეტს, ვიდრე შარშან იყო. გასავალს-კი 784,573 მანათს, ე. ი. 13,377 მანათით მეტს, ვიდრე შარშან იყო.

*** ქუთაისი: ქუთაისის ფერმასთან რამდენიმე ღარიბი მოსახლე სცხოვრობს. ამ მოსახლეებთან სდგანან ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შეგირდებიც. ერთს ამ მოსახლეთაგანს გაუმართავს თავის სახლთან დუქანი, ჩაუდგავს შიგ არღანი და თითქმის ყოველ ღამ უშველებელი ღრიანცელი გაისმის ერთის მხრით არღნისა და მეორეს მხრით ტვინ-შეხურებულის ვაჟბატონებისა. ურიგო არ იქნება, ვისიც ჯერ არს, ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და ან ყმაწვილები მოაშორონ ამ არემარეს, ან ამ მედუქნეს გააუქმებინონ თავისი დუქანი.

*** იქიდამვე: არ იქმნა და არა ეშველა-რა ხორაგეულობის ნიხრს ქუთაისში. ძროხის ხორცი გირვანქა 10 და 9 კაპ., ცხვრისა 10 კაპ. ეს ორი თთვე მეტია, რაც ამ ფასად იყიდება. პური თეთრი ოყა (სამი გირვანქა) 14 კაპ., წითელი—10 კაპ.

## ფელეტონი

### ჩვენი უთავბოლობა.

ჩვენი ინტელიგენცია

(შემდეგი. იხ. „ივერია“, № 88)

ჩვენის სტუდენტობის ასეთი მიუტევებელი გულ - გრილობა სამშობლოს წინაშე უფრო იმის බრალია, რომ სამშობლოს წარსული არ იცის ზედ-მიწევნით. რა ადამიანსაც სამშობლოს თავ-გადასავალი არ შეუსწავლია საძირკვლიანად, იმას არც მისის აწმყოსი და მომავლისა გაეგება რამ საფუძვლიანად და, მაშასადამე, ვერც შეიყვარებს, რადგანაც უცნობისაგან უცნობის სიყვარული შეუძლებელია. სამშობლოს ისტორია იგივ მშობელი დედაა, რომელიც თავის ღვიძლს შვილებს სიყრმიდგანვე უნერგავს მშობლიურს პატივისცემას და და-ძმურს სიყვარულს, მაგრამ როცა და-ძმანი მშობლის გონიერს სიტყვას მოკლებულნი არიან ყრმობიდგანვე და ღვთის ანაბარად იზრდებიან სხვის ხელში, მაშინ იმათს გულში აღარ მოიპოვება მშობლებისადმი მხურვალე პატივისცემა და და-ძმური სიყვარული, და თუ მოიპოვება—მეტად სუსტი და უხანო. დღეს ჩვენი სტუდენტობაც სწორედ იმ უპატრონოდ აღზრდილს და-ძმას მიეგვანება: არ იცნობს დაახლოვებით სამშობლოს ისტორიას და არც მისი და-ძმის მხურვალე სიყვარული უღვივის გულის სიღრმეში ციურ ცეცხლივით. დიაღ, ჩვენის ქვეყნის წარსული რომ საფუძვლიანად ვიცოდეთ, მაშინ მის აწმყოსა და მომავალსაც შევიყვარებდით და ვიზრუნებდით მისის კეთილდღეობისათვის თავის სასახელოდ და ქვეყნის საბედნიეროდ. არა, ვიდრე ჩვენი ისტორია, ლიტერატურა და ხალხის უმრავლესობა არ გვეცოდინება ზედმიწევნით, იმ დრომდე ქვეყანაში ვერ გავერევით და ვერ გამოვჩნდებით. „Чтобы знать, куда и какъ идти, нужно знать, откуда и какъ пришли“, მშვენივრად უთქვამს ამის მთქმელს და ამას არ უნდა ივიწყებდეს უთავბოლობისაგან სამარცხვინოდ გაქარაფშუტებული ჩვენი სტუდენტობა და იმედს არ უცრუებდეს მშობელს ქვეყანას... სხვაც არა იყოს-რა, ისტორია მდიდარი სალაროა კაცთა გრძნობა-გონების მოქმედებისა, საიდამაც ათას ნაირი გამოცდილება და მეცნიერება შეიძლება შეიძინოს გონიერმა ადამიანმა.

მოიპოვებიან, მართალია, ჩვენს დღევანდელს სტუდენტობაშიაც თითო-ოროლა ისეთი სანუგეშო კაცნი, რომელნიც ცხრა მთასა და ზღვას იქით დიდის გულ-მოდგინებით ადევნებენ თვალ-ყურს ჟურნალ-გაზეთების შემწეობით სამშობლო ქვეყნის მოძრაობის ავ-კარგიანობას, მოძმის ჭირსა და ლხინს და ბედ-უბედობას. სამშობლოს კეთილით ისინი ჰხარობენ, ნეტარდებიან, და მისი ავი-კი ამწუხარებთ, გული სისხლის ცრემლით უტირით და იცრემლებიან, და ბოლოს გულ-ამღუღრებულნი აღტაცებით იმეორებენ პოეტის სიტყვებს: „იქ სულსა სული თვისად მიაჩნის და გულსა გულის პასუხი ესმის!“ დიაღ, მოიპოვებიან სტუდენტობაში ისეთი მამულის გულ-წრფელი შვილები და მომავალი გმირები, რომელთაც ცხადად ეცნევათ, რომ აღსავსეა იმათი გული ყოვლის კეთილით, ღ ღირსნიც შეიქმნებიან ოდესმე ერის თაყვანის-ცემისა. მაგრამ რა ჰქმნას მარტო ერთმა და ორმა, როდესაც 98⁰/₀-მა ჩვენმა სტუდენტობისამ არ იცის ფარსაგად, და ზოგმა სრულიად, არც ღვიძლი ენა, არც სამშობლოს ისტორია, არც ნაციონალური ლიტერატურა, არც მოძმეთა უმრავლესობის აწინდელი ყოფა-ცხოვრება და არც მათი ჭირი და ლხინი. ამ დასახელებულ 98⁰/₀-ში ორი კაციც ძლივს მოიპოვება, რომელთაც სხვა ერების ყოფა-მდგომარეობა და იმათი ისტორია-ლიტერატურა მაინც მართლა საფუძვლიანად იცოდნენ და ბეჯითად ადევნებდნენ თვალ-ყურს ყოველს იმათს წინ-მსვლელობითს ნაბიჯს, იმ განზრახვით, რომ ერთს დროს სამშობლო ქვეყანასაც შეისწავლიდნენ და უცხოელების ყოფა-ცხოვრებას შეუწონ-შეუდარებდნენ ჩვენს ყოფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** ახალ-სენაკი: აქ მოხდა შემდეგი სამწუხარო ამბავი: 24 აპრილს, დილის რვა საათზედ, სასწავლებელში მიმავალს მასწავლებელს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლისას ბ-ნ გრ. საკალსკის ვიღაც ცხენოსანმა კაცმა დაჰკრა ჯოხი თავში და თავი გაუტეხა. ბოროტების ჩამდენი გაიქცა და, თუმცა გამოეკიდნენ, მაგრამ ვერ მიეწივნენ. მასწავლებელი გ. ს—კის სასიკვდილო არა უჭირს-რა, რადგან ექიმმა მაშინვე აღმოუჩინა შემწეობა. მიზეზი ასეთის ბოროტების ჩადენისა, როგორც ამბობენ, შემდეგი გარემოებაა: 22 აპრილს სასულიერო სასწავლებელში ერთმა მოწაფემ ამა სასწავლებლისამ მ. უპირიამ, რომელიც რამდენჯერმე იყო გამორიცხული სასწავლებლიდგან და მთავრობის განკარგულებით დადიოდა სასწავლებელში თავისით საგნების სასწავლებლად, დაარღვია წესიერება, რის გამოც ზემოხსენებულმა მასწავლებელმა გ. ს—კიმ მოწაფეს უბრძანა კლასისათვის თავი დაენებებინა, მაგრამ მოწაფე, არამც თუ კლასიდგან არ გავიდა, არამედ შეუტია მასწავლებელს, მიიწია საცემად და ხელიც-კი ჰკრა. ეს გარემოება შეატყობინეს პოლიციას, რომელმაც უპირია შეიპყრო და გაჰგზავნეს თავისს სოფელში. ახლა იმას ამბობენ, რომ ვითომ ან თვით ამ მოწაფემ, ან მისმა რომელმამე ნათესავმა ეს ამბავი ითაკილა და სამაგიერო იმითი გადუხადა მასწავლებელს, რომ თავი გაუტეხა კეტითაო. ამ გარემოებამ დიდად შეაწუხა აქაური საზოგადოება, მით უფრო, რომ ზემოხსენებული მასწავლებელი ძლიერ უყვარდათ როგორც მასწავლებლებსა და მოწაფეებს, ისე სამღვდელოებასა და საზოგადოებას კეთილის ხასიათისა და გულ-მოდგინე სამსახურისათვის.

*** სამტრედია: ჩვენი დაბა თითქმის შუა-გული ადგილია მთელის ქუთაისის გუბერნიისა. აქ იყრიან თავს აგრეთვე ფოთიდამ, ბითუმიდამა და ტფილისიდამ მომავალი მატარებლები. ამის გამო სამტრედია ამ ჟამად ყოველ დღე იზრდება და ჰმატულობს. ჰმატულობს მისი აღებ-მიცემა, მისი ნივთიერი ქონება და ცოტაოდნად გონებრივიც. გონებრივ ქონების მატებად უნდა ჩაითვალოს დააარსება აქ ბ-ნ ი. კაპანაძის ხელმძღვანელობით წიგნთ-საწყობისა. მისი ამხანაგები არიან ბ-ნი მ. ჯაში და ვ. მასხულია. ამ წიგნთ-საწყობს აზრად აქვს, რომ ყოველთვის თავ-თავისს დროზედ, მოთხოვნილებისათანავე, მიაწოდოს სასწავლებლებს ყოველ გვარი სასწავლო ნივთები და წიგნები, იმ ფასად და იმავე პირობით, რა ფასად და რა პირობითაც დღეს ქუთაისის წიგნის მაღაზიები იძლევიან. გარეშე ამისა, წიგნთ-საწყობს აზრად აქვს, ხალხშიაც გაავრცელოს სასარგებლო ქართული წიგნები, რომელსაც „ტფილისის ქართულ წიგნების ბეჭდვითი ამხანაგობა“, ან „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ დაჰბეჭდავს. ბევრჯელ მინახავს სოფლის მასწავლებელნი, რომელნიც ქუდმოგლეჯილნი დაეძებდნენ ხოლმე საჭირო წიგნებს, მაგრამ ვერ ჰშოულობდნენ. ეხლა ჩვენს არე-მარეში ეს ამბავი აღარ იქნება, რადგან ყველას ადვილად შეეძლება მათი შოვნა ხელმისაწვდომ ფასად. ამ სასიამოვნო საქმეს ხელს უწყობენ ამ მხრის ნასწავლი და მცოდნე კაცები, რისთვისაც მადლობის ღირსნი არიან.

## ქალაქის საბჭო

ორშაბათი, 27 აპრილი.

კრებას მოჰხსენდა წინადადება მელიქ-აივაზიანცისა, რომელიც ითხოვდა, რომ ვერის ხიდის შემოსავალი ქალაქმა გადმომცესო, და წელიწადში ათას ორას თუმანს მოგცემთო იჯარას. გამგეობის აზრით, ამდენს ფულს თითონაც აიღებს ქალაქი და, რადგან ხიდის შემოსავალი წლითი-წლობითა ჰმატულობს, სახარბიელო სარფა არა იქნება-რა და ამიტომ ამ წლის გასვლამდის ნურავის მიეცემა ხიდი იჯარით, ხოლო წლის ბოლოს დაინიშნოს ვაჭრობა და, თუ რიგიანი ფასი გამოიღო ვინმემ, მიეცეთო. კრებამ მოიწონა გამგეობის აზრი.

მეორე საგნად განხილული იყო პასუხი გამგეობისა ხმოსან ზუბალოვის საკითხზედ იმის შესახებ, რომ შოსეს მაგიერ ქვაფენილი იყოს გაკეთებული ქალაქის ყოველ ქუჩაზედ და თვით ქვაფენილიც სხვა გვარ მასალით იყოს შეცვლილიო. ნ. დ. ზუბალოვმა სთქვა, რომ საზოგადოდ ჩვენი ქუჩები ძალიან ცუდად იფინებაო; უბრალო წვიმა საკმარისია, რომ არც ტროტუარებზედ-ღა შეიძლებოდეს სიარული და არც ქვაფენილზედ, რის გამოც ძალა-უნებურად ხალხი ეტლებში ჯდება და მეტი ხარჯი მოსდის ჩვენის დაუდევრობითაო.

ქალაქის ინჟინერი ტ. ა. ენფიაჯიანცი. ტფილისში მოედანი ქვით მოკირწყლულ ქუჩებისა შეადგენს 150,000 ოთხ-კუთხს საჟენს. თუ გვინდა, რომ ეს ამდენი ადგილი რიგიანს მდგომარეობაში იყოს, საჭიროა წელიწადში შეკეთდეს გაფუჭებული ქვაფენილი არა ნაკლებ 30,000 საჟენისა. ჩვენ-კი უფულობის გამო ვასწორებთ ხოლმე წელიწადში 12,000 საჟენს. შარშან მტკვარი პატარა იყო და იმდენი ქვაც ვერ ვიშოვნეთ, რომ 12,000 საჟენი შეგვესწორებინა, რის გამოც დავჯერდით მხოლოდ 8,000 საჟენს. ამისთანა გარემოებაში, თქმა არ უნდა, ქუჩებს რიგიანად ვერ მოვუვლით და თანდათან, წარმატების მაგიერ, უკან-უკან დაიწევა კეთილ-განწყობილება ქალაქისა. ეს სულ იმისი ბრალია, რომ ჩვენ გვინდა ექვს-შვიდ აბაზად გაგვიკეთონ თავიანთის მასალით ერთი ოთხ-კუთხი საჟენი. ამ ფულით იჯარადრებს ვერ დავახარბებთ და ისეთს ქვაფენილს გვიკეთებენ, რომელიც რამდენისამე თთვის განმავლობაში ფუჭდება და ხელ-მეორედ გასაკეთებელი გვიხდება. საზოგადოდ, ჩვენებური ქვაფენილი ვერ გაგვიკეთებს რიგიანად ქუჩებს და სხვა მასალა კიდევ ძვირია. ერთად-ერთი ღონისძიება, რომელიც ამ ქვაფენილს ცოტათი მაინც გაგვიუმჯობესებს, ის არის მხოლოდ, რომ გავიკეთოთ საკუთარი საწყობი მასალისა, დავარჩიოთ შესაფერი ქვა, ვიქონიოთ საკმარისი ქვიშა და იჯარადარს მოვკითხოთ მარტო მუშაობა, საქმე, როგორც სხვა ქალაქებშია. ეხლა რკინის გზაც იაფად აძლევს ქალაქს ვაგონებს, შეგვიძლიან მცხეთიდგან ჩამოვიტანოთ დარჩეული ქვა და ამ სახით, რაკი მასალა ჩვენი იქნება, იჯარადარი აღარ გასწევს ყაირათს და იმდენს მოახმარებს, რამდენიც საჭიროა, რომ ქვაფენილი მაგარიც იყოს, კარგიც, ქვიშაც საკმარისი ჰქონდეს, უფრო დიდხანსაც გაგვიძლოს და ტალახიც ნაკლები იყოს ჩვენს ქუჩებზედ. ამ საწყობისათვის მე ვთხოვე გამგეობას სულ ექვსასი თუმანი და გამგეობამაც შეიტანა ეს ფული ხარჯთ-აღრიცხვაში. ეხლა საბჭოზედაა დამოკიდებული, რომ ეს ფული გაიღოს.

ხმ. ზუბალოვი. თუკი მაგითი ეშველება რამ, დააჩქარეთ ეგ საქმე, თორემ სწორედ ცუდს მდგომარეობაშია ჩვენი ქუჩები.

ხმ. ჩოლოყაშვილი. ეგ იმდენად კარგი წინადადებაა ბ-ნ ენფიაჯიანცისა, რომ შეგვიძლიან ტროტუარების გაკეთებაშიაც აგეთი ხერხი ვიხმაროთ. ეხლა ტროტუარებს ვერ აკეთებენ სახლის პატრონები, რადგან ძვირად უჯდებათ. ქალაქმა რომ ერთი სამასიოდე თუმანი გადასდოს და გაიკეთოს საწყობი ალგეთის ქვისა თუ ასფალტისა, იაფად დაუჯდება, მერე თავისს ფასებით გაუკეთებს ხალხს და აღარც გასაჭირი იქნება მაგ ფულის შევსება სახლის პატრონების მხრივ.

შემდეგ განხილულ იქმნა სხვა-და-სხვა თხოვნა კერძო მოქალაქეთა.

ხმ. ჩოლოყაშვილი. ნება მიბოძეთ შემოვიტანო შემდეგი წინადადება. იმ დღეს ჩვენ დავადგინეთ, რომ მოწვეულ იქმნას ერთი საქალაქო ექიმი, რომელმაც მუქთად უნდა იაროს ღარიბ ავადმყოფებთანაო. გარდა ამ ექიმისა, ჩვენა გვყავს ორი სანიტარი ექიმი. კარგი იქნებოდა, რომ მთელი ტფილისი გავყოთ სამს ნაწილად და თითო ექიმს ჩავაბაროთ თითო ნაწილი იმ პირობით, რომ ყველა მათგანმა სანიტარობაც გასწიოს და მუქდადაც იაროს ღარიბ ავადმყოფებთან. ამ სახით, ღარიბ ხალხისათვის ჩვენ გვეყოლება ჩვენის ხარჯით სამი ექიმი.

ბოლოს ხმ. მ. კ. მახაბელმა სთხოვა ქალაქის თავს ცნობები: რა მდგომარეობაში ჩავარდება ჩვენი ავჭალის მილის-წყალი, უკეთუ მტკვარი უფრო ადიდდაო, და მიღებულია რაიმე ღონისძიება, რომ მაშინები გადავარჩინოთ წყალსაო?

ამაზედ ქალაქის ინჟინერმა განაცხადა, რომ ჯერ კიდევ საშიში არა არის-რა და მაინც ღონისძიება მიღებულია, რაც-კი ტეხნიკურის მხრივ შესაძლებელი არისო. საბჭომ დაადგინა, რომ აღმაშენებელმა კომისიამ განიხილოს ეს საგანიო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ტობანიერი**, (ქუთ. მაზრა). არა ვგონებ, კიდევ იყოს სადმე ჩვენს პატარა სამშობლოში იმისთანა მივიწყებული სოფელი, როგორც ტობანიერია, თუმცა ამ სოფლის ვითარება და ყოფა-მდგომარეობა ბევრის მხრით საყურადღებოა. ტობანიერი არის რიონის მარცხენა მხარეს, ოცდა-ათის ვერსის მანძილზედ ქუთაისიდგან. აქაურობა მთა-გორიანი ადგილია. ამ სოფელში მცხოვრებელნი სამას კომლამდის ირიცხებიან და უმეტესობას გლეხობა შეადგენს. ბუნებით ეს სოფელი მდიდარია: ღვინო, სიმინდი კარგად მოდის. შეიძლება კაცმა აქ სხვაფრივაც ისარგებლოს, როგორც, მაგალითად, აბრეშუმის მოშენებით, მეფუტკრეობით, მაგრამ ამ გვარს წარმოებას აქ არ მისდევენ. უპირველესს წყაროს ცხოვრებისას აქაურებისათვის, როგორც სხვაგან მთელს ქვემო იმერეთში, შეადგენს სიმინდი. ღვინოსაც ცოტას არა ჰყიდდნენ დღემდის, მაგრამ ამ ბოლოს დროს მისმა მოსავალმა აქაც ძალიან იკლო. ვაზის სენი მილდიუ და ნაცარი (განსაკუთრებით უკანასკნელი) დიდი ხანია, რაც აქ გამოაჩნდა ვაზს და ღვინის მოსავალს ნელნელა ბოლოს უღებს. თითქმის ყველგან, სადაც-კი ამ სენმა თავი იჩინა, სცდილობენ თავს უშველონ როგორმე: თუ წამლობით, თუ სხვა ჯიშის ვაზის მოშენებით. აქაურები-კი გულხელ-დაკრეფილნი შესჩერებიან ამ მათის მევენახობის გამანადგურებელს სენს და არავითარს საშუალებას მის საწინააღმდეგოდ ხელს არა ჰკიდებენ. ყოველივე ეს ვაზის ავადმყოფობა რაღაც „სახადად“ მიაჩნიათ და ჰფიქრობენ, დღეს თუ არა, ხვალ მაინც გაივლის და ისევ ძველი დრო დაგვიდგებაო. ვინ იტყვის, რომ იმედი კარგი საქონელი არ იყოს, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან ჩვენი უიმედობა დავფაროთ და არა ვთქვათ: მალე მოვა ის დრო, როცა აქაურებს ღვინო პირის გასასველებლად არ ექნებათ. სამწუხაროა ეს გარემოება და სამწუხაროა მით უფრო, რომ ტობანიერში ძალიან კარგი ღვინის მოსავალი იცოდა და ღვინოც კარგის თვისებისა იყო, მაგრამ რას იზამს კაცი, უმეცრებას ბევრი რამ ცუდი შეუძლიან. აზნაურობა, რომელიც შეძლებით გაცილებით სჯობია გლეხობას და, მაშასადამე, უფრო შეუძლიან ისარგებლოს სხვა-და-სხვა საშუალებით, რომელიც მოგონილია ვაზის სენის საწინააღმდეგოდ, ისეა შეპყრობილი უმეცრებით, რომ სასწაულმომქმედი უნდა იყოს კაცი, რამე შეაგნებინოს და დააფიქროს თავისის უბედურების გამო. ამათისთანა უზრუნველნი, სწავლა-განათლების გულგრილად მაყურებელნი, არა ვგონებ, კიდევ იყვნენ სადმე. ამ სოფელში სამოც კომლამდის აზნაურობაა, და სიტყვამ მოიტანა შევნიშნოთ, რომ ვერც ერთს აზნაურს ვერა ჰნახავთ ამათში იმისთანას, რომელსაც არა თუ უმაღლესი, ან საშუალო სასწავლებელი, არამედ, ასე გასინჯეთ, სადმე მაინც ესწავლოს. იტყვიან, „არ-ცოდნა არ-ცოდვააო“, მაგრამ აქაური აზნაური ამით თავს ვერ გაიმართლებს, რადგან იმის უცოდინარობას, გარდა ზემოდ ნათქვამისა, სხვაც ბევრი „ცო-

---

ცხოვრებას წინ-წასაწევად. თუ დღევანდელი ჩვენი სტუდენტობა ადევნებს თვალ-ყურს სხვა ერების გონებითს მოძრაობას, ისე გულ-დადებით-კი არ ადევნებს, რომ იმისს საკეთილო ცნობის-მოყვარეობას ერთი ახალი აზრი და სიტყვაც არ გამოეპაროს იმ დიდებულ ბრძენთა და მეცნიერთა მოძღვრებისა, რომელნიც ჰეშმარიტების ნათელით უჩირაღდნებენ ბინდ-მორეულს ცხოვრების გზას კაცობრიობას და გამარჯვების დროშა-ალამის ფრიალით მიუძღვიან დევ-გმირებივით წარმატებისაკენ; არა, ამას დიდი შრომა და მოთმინება უნდა და აბა ის საამისოდ თავს რად შეიტკიებს, როდესაც ეხლანდელი ყველაში ასწრაფებული სიფაციფუცე ადამიანს ლუკმასაც-კი არ აღეჭინებს ფარსაგად და ამას-კი როდი-ღა ჰფიქრობენ, რომ სიწყნარე მოგვაჰკვიანებს, ფიქრსა და გულს გაგვიმხიანებს, სიჩქარე საქმეს წაგვიხდენს და ჯანსაც დაგვიზიანებს. ჩვენი სტუდენტობა (და მათთან მრავალნიც სხვანი) თუ თვალ-ყურს ადევნებს ზედა-ქვერად სხვის ყოფა-ცხოვრების ლიტერატურას, იმას მარტო პედანტიური თავის მოწონება აქვს აზრად და არა საქმის შესწავლა საქვეყნო საქმისათვის. წაიკითხე?—წავიკითხე.—რა აზრისა ხარ?—ეჰ! დაიკარგოს იქიდამ, სხვის ნაღეჭებს იმეორებს!...—აკი გითხარ! რო გითხარ, ის ახალს არას იტყვის და წაკითხვად არა ღირს-მეთქი, მიუგებს ჩვენი თავ-მოწონებული სტუდენტი თავისავით თავ-მოწონებულს სტუდენტს და სიამოვნებით ჩაუსხდებიან სხვებთან ერთად სათამაშო ქაღალდებს. შუა-ღამემდის „ვინტაობენ“, „პრეფერანსობენ“, ჰყვირიან, ლოთობენ, სიყვარულის ქებათა-ქებას ღრიალებენ, გარიჟრაჟისას სარისკიპოში ანუ რისკიპების ბაზარში მიბრძანდებიან დიდის ზარ-ზეიმით და იქიდამ მობრუნების უმალვე ტ ,ბილს ძილსა და განსვენებას ეძლევიან უზრუნველად სადილობამდის, ბევრნი—შებინდებამდის და ზოგნი იქამდის, ვიდრე სწორ-ამხანაგები არ მოუვლენ და ჩმუგვნითა და ყვირილით არ გამოაღვიძებენ „სავინტაოდ“. ბოლოს, რაღა თქმა უნდა, არაყითა და ლუდით გაბრუებულები გასწევენ ისევ იმ რისკიპების ბაზარში, სადაც წითელი ფარნები ჰკრიკონა ვარსკვლავებით ჟრიკჟრიკებენ და აქეთ-იქიდამ სირინოზის ხმით ეძახიან ქუდოსნებს ჯოჯოხეთის ანგელოზები: „Ко мнѣ!... Ко мнѣ!... Извѣдай радость! И поцѣлуи и любовь! Въ ней, въ ней одной—всей жизни сладость!...“ და ისინიც ოტროველა კამეჩებივით მიიმტვრევენ თავპირს და აღარ ჰფიქრობენ საბრალონი, რომ „ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარა ღირს აღარც ჩირად!“ ჭკვათამყოფელს ადამიანებს არ შეესვლევინებათ იქ, სადაც ჯოჯოხეთის ანგელოზები ცინიკურის მიმიკით გაიძახიან: „Пифъ-пафъ, тру-ля-ля! Смотрите тутъ, смотрите тамъ!..“ მაგრამ დიდის სიამოვნებით შედიან ქუდოსნები და ჯოჯოხეთის ანგელოზებს ასეთს ბანსაც-კი მისძახიან როყიონით: „Будь, что будетъ—все равно, были-бъ дѣвки да вино!“ „უგვანის ბუნებისაგან ქმნა ნურა გიკვირს ნურასა“, „კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“, მართლა უთქვამს საქართველოს სიამაყეს და მართალსავე ამბობს ამის მთქმელიც: „О, Боже, Боже, сколько людей погибаютъ въ объятіяхъ продажной красоты!“

აი პაწია სურათი ეხლანდელის ჩვენის სტუდენტობის უმრავლესობისა, იმ სტუდენტობისა, რომელიც უნდა შეადგენდეს სამშობლო ქვეყნის ერთად-ერთს ნუგეშს და სიამაყეს, თუმცა ისინი ყოველთვის ამაყობენ გულში, სტუდენტები ვართო, და ისკი აღარ ახსენდებათ საბრალოებს, რომ „მეფობა თქმითა არ არის, არცა სახელის წოდებით“, თავის არ მცნობი ინანებს ბოლოს დროს მწარე გოდებით. აგრეა-და, „თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია“, და ეს-კი აღარ იცის უბედურმა: ბულბულის გული და გონება ულეველი ზღვა არის ჭკვა-გრძნობისა და ენა მათი ჰარმონიულად გამომსურათხატებელი ქვეყნის გულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დვა“ მოსდევს: ჩხუბი, კაცის დაჭრა, სასამართლოებში უბრალო საქმის გამო დავიდარაბის ატეხვა და ათასი სხვა ვაივაგლახი მუდამ გამოულეველია ამათ შორის. ეს, თუ გინდ, კიდევ არაფერი, რომ მოზარდ თაობისათვის მაინც ჰზრუნავდნენ, მაგრამ სამწუხაროდ ამ მხრითაც ვერაფერი ითქმის მათ სასარგებლოდ. მაშინ როდესაც ამ სოფლის უბრალო მღვდლები და მედავითნეები ჰზრდიან თავიანთს შვილებს ზოგი სასულიერო და ზოგიც საერო სასწავლებელში, ესენი მათთვის დაარსებულ ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლითაც-კი არა სარგებლობენ.

სწავლა-განათლების მხრით გლეხობაც არა სანუგეშო ყოფაშია, თუმცა ქონებრივად შედარებით არა უშავთ-რა. 1876 წ. ერთის აქაურის ახალგაზდა მასწავლებლის, გ. გ—ძის, თაოსნობით ამ სოფელში დაარსებულ იქმნა სამინისტროს სკოლა. ეს სკოლა თავის ხარჯით ააშენა ტობანიერის საზოგადოებამ, რომელშიაც ოთხი პატარ-პატარა სოფელი ირიცხება. პირველად სწავლის საქმე ამ სკოლაში კარგად მიდიოდა: ბავშვებიც ბლომად დადიოდნენ და მასწავლებლის მადლიერნიც იყვნენ, მაგრამ ამ კარგს ყოფაში დიდხანს არ დარჩენილა. მოგეხსენებათ, სწავლა-განათლებას გლეხობისას, როგორც მის თვალის ამხელს და სიბეჩავის დამნახველს, ყოველთვის წინ ელობებიან და გზას უკრავენ იმისთანა სულიერნი, რომელთათვისაც გლეხ-კაცის გამოფხიზლება დიდი ზარალი და უბედურებაა. ამ გვარ კაცთათვის გლეხი რამდენადაც გაუნათლებელი და უმეცარია, იმდენად კარგი გასათლელ-გასაფცქვნელია. ამისთანა სულიერნი ამ სოფელშიაც არიან და აი, როცა დაინახეს ამ ვაჟ-ბატონებმა რომ სკოლის დაარსებით მათს გაიძვერაობას და გლეჯა-ფცქვნას საზღვარი ედებოდა, დაიწყეს ხალხში ქადაგება: რა საჭიროა გლეხ-კაცისათვის სწავლა, წერა-კითხვის ცოდნა, ეს ხომ მოცლილ კაცების საქმეაო; გლეხ-კაცისათვის საჭიროა თოხი და ბარი და ამისი ხმარებაო. შენიშნულია, რომ ყოველს ბოროტს სულს უმეცარს ხალხში ძლიერ დიდი გავლენა აქვს და აი, ამ მიზეზით ზემოხსენებულ მოძღვრებამ სწავლის უსარგებლობისამ თავისი ჰქნა. ხალხმა სკოლას აბუჩად დაუწყო ყურება, მასწავლებელი აიძულა, ბავშვები შემოაცალა. მასწავლებლები შეძლებისადაგვარად ებრძოდნენ ამ სამწუხარო გარემოებას და, როცა ვერას ჰხდებოდნენ, სტოვებდნენ ბრძოლის ველს და მთავრობას სხვა სოფელში გადაყვანასა სთხოვდნენ. მთავრობაც ასრულებდა იმათ თხოვნას, მაგრამ ბოლოს ამასაც მოსწყინდა მასწავლებლის ერთ ადგილიდგან მეორე ადგილას გადაყვანა და ამისათვის ეს სკოლა მთელი ორი წელიწადი უმასწავლებლოდ დასტოვა. გლეხები დარჩნენ თუ არა უმასწავლებლოდ, იფიქრეს: ახლა-კი გვეშველა, სკოლაც მოვიშორეთ და იმისგან გამოწვეული ხარჯიცაო. მაგრამ, როცა ხარჯს მაინც ახდევინებდნენ მასწავლებლის სასარგებლოდ, მაშინ-კი ცოტა გონს მოვიდნენ და სთქვეს: „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო“, ფულს მაინც გვახდევინებენ, ბარემ სკოლითაც ვისარგებლოთო, და აი ამისათვის როცა შარშან მთავრობამ ხელ-ახლად გამოჰგზავნა აქ მასწავლებელი, ამას ისე არ მოჰპყრობიან, როგორც იმის მოწინავეებს: სკოლას კარგის თვალით უყურებენ და ბავშვებსაც ბლომად ჰგზავნიან, ასე რომ დღეს ამ სკოლაში ორმოცამდე ბავშვი სწავლობს.

ი. სტ—ძე

## წიგნების ბეჭდვის ქართველთ ამხანაგობის შესახებ *)

სახელი და გვარი ქართველთა ამხანაგობის წევრთა:

1. აბაზაძე ნიკოლოოზ ლევანის ძე. (1892 წ.).
2. თ. ავალიშვილი დავით ივანეს ძე.
3. ასათიანისა ეკატერინე თევდორეს ასული.
4. ალნიაშვილი ვლადიმირ დიმიტრის ძე.
5. ალნიაშვილი ილია დიმიტრის ძე.
6. თ. არღუთაშვილი-მხარგძელი პავლე მიხეილის ძე.
7. თ. ბაგრატიონ-დავითიშვილი ვასილ ედიშერის ძე.
8. ბაქრაძე გიორგი ტარიელის ძე.
9. ბაქრაძე იოსებ.
10. ბერელაშვილი ვასილ გერასიმეს ძე.
11. ბერელაშვილი ადამ ზურაბის ძე.
12. ბეჟანიშვილი მიხეილ ნიკოლოოზის ძე.
13. ბოძიევი დავით ეფრემის ძე.
14. ბოცვაძე ლუარსაბ გერასიმეს ძე.
15. ბურდული პლატონ ავთანდილის ძე.
16. გაგუა ივანე.
17. გაგლოშვილი დავ. გიორგის ძე.
18. გაგლოშვილი გრ. ეფრემის ძე.
19. გოგიბერიძე კონსტ. ბიჭიას ძე.
20. გოდერძიშვილი აპოლონ ხარიტონის ძე.
21. გულისაშვილი იერემია დიმიტრის ძე,
22. თ. გურიელი ვახ. დავითის ძე.
23. † თ. გურიელი გრიგოლ.
24. დავლიანიძე ოლღა ფარსადანის ასული (1892 წ.).
25. დარეჯანიშვილი არჩილ სტეფანეს ძე.
26. დარჩია ვიქტორ.
27. დარჩია ფილ. ნიკოლოოზის ძე.
28. დიდია გიორგი ნიკოლოოზის. ძე (1892 წ.).
29. ედიაშვილი სამ. სპირიდონის ძე.
30. თ. ერისთვიშვილი ალექსანდრე ბიძინას ძე.
31. თ. ერისთვიშვილი სეფე.
32. თ. ვაჩნაძე იასონ რევაზის ძე.
33. ვაცაძე ევგენ იოსების ძე.
34. ზაალიშვილი მიხეილ რამანის ძე.
35. ზედგინიძე ნიკ. სვიმონის ძე.
36. ზედგინიძე იაკობ სვიმონის ძე.
37. ზედგინიძე ივ. ნიკოლოოზის ძე.
38. ზემიანსკი ლონგინ გელიოდორის ძე.
39. თ. თარხნიშვილი გიორგი იორამის ძე.
40. თაყაიშვილი ექვთიმე,
41. თოიძე ალექსანდრე.
42. თოიძე მოსე ივანეს ძე.
43. თუმანიშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე.
44. ინასარიძე სამ. სოფრონის ძე.
45. ინგოროკვა ეგნატე.
46. იოსელიანი ნიკ. ბიჭიას ძე.
47. კაკაბაძე იოსებ პავლეს ძე.
48. კაკაბაძე მიხეილ გიორგის ძე.
49. კალანდაძე ბესარიონ.
50. კალანდაძე არსენ.
51. კანდელაკი ზაქარია მიხეილის ძე.
52 კახეთელიძე ნესტ. იგნატეს ძე.
53. კიკნაძე ვასილ ბიჭიას ძე.
54. კიკნაძე დავით ბესარიონის ძე.
55. კილაძე დიომიდე ანტონის ძე.
56. კიპრიზოვი სოლომონ ქრისტეფორეს ძე.
57. კურცხალია პავლე იოსების ძე.
58. კარგარეთელი სვიმონ მოსეს ძე.
59. კნ. ლორთქიფანიძე ელენე ნიკოლოზის ასული.
60. თ. ლორთქიფანიძე იასონ მერაბის ძე.
61. ლორთქიფანიძე ვასილ.
62. თ. ლორთქიფანიძე ანტონ ნიკოლოოზის ძე.
63. მათიკაშვილი ილარიონ კირილეს ძე.
64. მათვეევისა ნინო დავ ასული.
65. მალიაცკი ბენდეტი ლევის ძე.
66. მამაცაშვილი კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე.
67. მანსვეტოვი იაკობ ალექსან. ძე.
68. მალალაშვილი ზაქარია
69. მაჭავარიანი ივანე ნიკოლოოზის ძე (1892 წ.).
70. მდივანი კონსტანტინე.
71. მერაბაშვილი ალ. ლაზარ.
72. მესტიაშვილი სოლ. სტეფ.
73. მთვარელიშვილი ნიკ. ვას.
74. მიქაძე ბესარიონ.
75. მირიანაშვილი ალექსი ივანეს ძე
76. კნ. მიქელაძისა სოფიო ნიკოლოოზის ასული.
77. მიქელაიშვილი ალექსანდრე და თავართქილაძე კონსტანტინე (წიგნის მაღაზია).
78. მორბედაძე მიხეილ პეტრეს ძე.
79. მოსეშვილი ბართლომე პავლ.
80. მრევლიშვილი ნიკოლოოზ ეგ.
81. ნათიძე მამა ნიკოლოოზ.
82. ნაკაშიძე ერმილო კაცოს ძე.
83. ნარაკიძე სპირიდონ ლევანის ძე
84. ნიკოლაძე მათე ივანეს ძე.
85. ნოდია იაკობ.
86. ნოდია კონსტანტინე ივანეს ძე.
87. ოქრომჭედლიშვილი მთავარი ნიკოლოოზ გიორგ. ძე (1892 წ.)
88. პეტრიაშვილი ნესტორ ივანეს ძე.
89. პოლტარაცკი ივანე ეგნატეს ძე.
90. ჟურულისა ქეთევან ლუარსაბის ასული.
91. რაზიკაშვილი თევდორე პავ.
92. რამიშვილი ირაკლი ივანეს ძე.
93. როინაშვილი ალექ. სოლ.
94. რცხილაძე ვასილ ილიას ძე.
95. სანაძე მიხეილ პეტრეს ძე.
96. სარაჯიშვილი დავით ზაქ.
97. სხირტლაძე გიორგი.
98. ტაბურჩინსკი ვიკულ ოსიფის ძე.
99. ტატიშვილი გრიგოლ პავლეს ძე
100. თ. ტუსიშვილი სოლ. გიორ.
101. თ. ფავლენიშვილი დიმიტრი.
102. ფანცულაია იოსებ ნიკოლ.
103. ფანცხავა რომანოზ ფრიდ.
104. ფანცხავა იუსტინე გრიგოლის ძე
105. ფურცელაძე ირაკლი.
106. ქვლივიძე დიმ. გიორგის ძე.
107. ქურდოვანიძე სოლომონ ზაქ.
108. ღოღობერიძე ნიკ. ბესარ.
109. ყალაბეგაშვილი სვიმონ გიორ.
110. ყიფიანი პავლე როსტომის ძე.
111. ყიფიანი პეტრე იოსების ძე.
112. ყიფიანი მიხეილ ქაიხოსროს ძე.
113. ყიფშიძე ალექსანდრე თევდ.
114. შარუხია ივანე.
115. შაფათავა ანდრო იაგორის ძე.
116. ჩარკვიანი გრიგოლ ვასილის ძე.
117. ჩარკვიანისა ელისაბედ.
118. † ჩიტაძე გრიგოლ ალექსის ძე
119. ცალკალამაძე ერასტი იოსების ძე (1892 წ.).
120. ცისკარაშვილი მიხეილ დავ.
121. თ. ციციშვილი ლევან ამირინ.
122. თ. ციციშვილი გიორ. სარდ.
123. ცხოვრებაშვილი ზურ. როსტ.
124. წერეთელი ელენე ელიზ. ასული
125. წერეთლები ძმანი (წიგ. მაღ.).
126. წინამძღვრიშვილი ილია ივანეს ძე (სკოლა წინამძღვრიანთ-კარისა).
127. თ. ჭავჭავაძე ილია გრიგოლის ძე
128. ჭარაია პეტრე გიორგის ძე.
129. ჭიჭინაძისა ელენე იოს. ასული.
130. ჭიჭინაძე ვარლამ იოსების ძე.
131. ჭიჭინაძე ილია იოსების ძე.
132. ჭრელაშვილისა ოლღა თევდორეს ასული.
133. ჭრელაშვილი სტეფანე თევდ.
134. ხახანაშვილი ალექ. (პროფ.).
135. ხაჯიალოვი ნიკ. ივანეს ძე.
136. ხეთერელი ივლიანე მალხაზის ძე.
137. ხიმშიაშვილი იასონ ლევანის ძე.
138. ხრამელაშვილი ეგნატე.
139. ხუდადოვი ნიკ. ალექსის ძე.
140. ხუსკივაძე თეოფილე.
141. ხუცაიძე ივანე ქრისტეფორეს ძე.
142. ჯაბადარი ალექსანდრე გიორ.
143. ჯავროვი პარმენ გიორგის ძე. (1892 წ.).
144. ჯავროვი ლავრენტი (1892 წ.).
145. ჯამასპოვი ტრიფონ ივანეს ძე.
146. ჯანაშვილი მოსე.
147. ჯგვიშია ტიმოთე გიორგის ძე.
148. ჯინორიძე ევგენი გაბრიელის ძე.

*) დასასრული, იხ. „ივერია“ № 88

## რუსეთი

გაზეთი „Новороссійскій Телеграфъ“-ი სწერს: დიდი ხანია საჭიროება მოითხოვს, რომ როგორმე გაუმჯობესდეს სოფლის მღვდლების მდგომარეობა. ამ ჟამად მთელს რუსეთში უმეტესი ნაწილი სამღვდელოებისა სემინარიაში სწავლა-დამთავრებულ-კაცებისაგან შესდგება. კაცს ეგონება, რომ სამღვდელოებას დიდი გავლენა აქვს გლეხ-კაცის ზნეობაზედაო, მით უმეტესად, რომ მღვდელი ძლიერ დაახლოვებულია გლეხ-კაცობასთან, მაგრამ, სამწუხაროდ, სამღვდელოებას ეს ზედ-გავლენა არა აქვს ხალხზედ, იმიტომ-რომ იმის კეთილ-მოქმედებას ხელს უშლის გაჭირვებული ცხოვრება. ეს გარემოება მოხსენებული აქვს 1887 წლის მოხსენებაში უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორს კ. ს. პობედონოსცევს. აი ეს მოხსენება: „სოფლის სამღვდელოებას გადაჭრილი ჯამაგირი არ ეძლევა მთავრო-

---

მწარე-ტკბილად ასაძგერად. ნაცვლად იმისა, რომ ათასჯერ გადაღეჭილ-გადამოღეჭილ ლექციების შემდეგ სხვა მსოფლიო გენიოსთა აზრებითაც და სამშობლოს შესწავლითაც გაიმსჭვალონ და გაიმდიდრონ გულგონება დაუფასებელ დრო-ჟამის წყალობით თავის სასახელოდ და მშობელ ქვეყნის საკეთილდღეოდ, ისინი პირ-იქით მშობლებისაგან წვითა და დაგვით მონაგრებულს უკანასკნელს გროშსაც-კი ატიალებენ ცუდ-უბრალოდ, ოღონდ ის ძვირფასი დრო როგორმე გაატარონ ალოდლეტიაობაში და თავიდგან მოიშორონ თავ-შეუტკივრად. ნუ გავიწყდებათ, რომ უნივერსიტეტი დიდს არას მოგცემთ და დიდს ვერას ჰოიმოქმედებთ ქვეყნისათვის, თუ თქვენვე არ განივითარებთ თავს მშობელის ქვეყნისა და მსოფლიო ავ-კარგის სწავლა-ცოდნაში. ესეც გახსოვდეთ, რომ ცამდე დიდებული გენიოსები, რომელნიც მთელს ქვეყანას აკვირვებდნენ და აკვირვებენ თავიანთ ცოდნის უმაღლესის სიბრძნე-მეცნიერებით, სამშობლოს ღრმად მცოდნენი და თვით-განვითარებულნი იყვნენ: დღე და ღამე არ ეძინათ და დაუცხრომლად იძენდნენ სწავლა-ცოდნას გარეთ ხალხის შემწეობით, შინ წიგნების კითხვით და თავის გულგონების გამონაცადში ჩაკვირვებით. „ცოდნა ისე მტკიცედ დაკავშირებულია წიგნებთან, რომ როცა რომელსამე სწავლულს ახსენებენ, ჩვენ მაშინვე ამას გავიფიქრებთ ხოლმე: იმ სწავლულს უთვალავი წიგნები ექნება წაკითხულიო, რადგანაც წიგნები წარმოადგენენ სწავლა-ცოდნის უმთავრესს სათავეს“, ამბობს მეცნიერი ტაილორი თავის თხზულება „ანთროფოლოგიაში“ და ჩვენს სტუდენტობას-კი დღესაც ყურზედ სძინავს, მარტო გამოფიტულს ლექციებსა სცოხნის ნიკორა კამეჩივით ყურებ-ჩამოყრილი და შემდეგს ღიღინებს: მე რაში მინდა საგმირო სიბრძნე, ესაც მეყოფა, რაც ვცან და ვიგრძნე; მე დიპლომს ვეძებ ხუთ-ბალებიანს და მდიდარს ქალსა შავ-თვალებიანს!

ღმერთო ჩემო! სადამდის მიიყვანს ხოლმე ადამიანს თავისი წინ-დაუხედავი მოუფიქრებლობა და დაუდევნელი უთავ-ბოლობა. რაც კაცი თავისს თავს უზამს, იმას ქვეყანაც ვერ უზამსო, მშვენივრად უთქვამთ ჩვენს გულთ-მეცნიერს წინაპრებს დ ჩვენ-კი, ქარაფშუტა და ჩიტირეკია უბედურებს, დღესაც არ გვესმის და არა ვსცდილობთ ვიცნათ თავი ჩვენი და მართლა კაცური კაცები ვიყვნეთ ყველაში და არა უტვინო და უხასიათო კაცუნები, რომელნიც მარტო თავის ჯიბე-მუცლისათვის ცოცხლობენ. ვაი და ფუი იმ სიცოცხლეს! დიდად სამწუხაროა, როდესაც გონებიანს არსებას მთელის ოცის წლის განმავლობაში სულ იმას ჩასჩიჩინებენ: კაცი იყავიო, და ის-კი ადამიანიც არ არის... ეხლა თქვენ თითონ წარმოიდგინეთ: ჩვენი მოზარდი სტუდენტობა, ჯერედ ისევ მოსიარულე მეცნიერების ტაძარში, ეს ერთად-ერთი იმედი და ნუგეში სამშობლო ქვეყნისა რომ ასეთი იყოს, „ჩვენი“ დღევანდელი სხვილ-ფეხა თუ წვრილ-ფეხა ნასტუდენტარი ჩინოვნიკები, ხმალ-აპელატიანი ცუდა-მჭამლები და ყველა ის სამსახურის კაცები, ვინც-კი მარტო თავის ჯიბე-მუცლის საქმეებს შესტრფის დღე და ღამე, ისინი რა შვილები-ღა იქნებიან!.. აბა კარგად, გონების თვალით ჩაუკვირდით იმათ ყოფა-ქცევას, მოქმედებას, ლტოლვილებას, მიმართულებასა და ბოლოს, უეჭველია, სიბრაზე აგიტაცებთ, თავით-ფეხამდე ზღვასავით აჰღელდებით მრისხანე სახის გამომეტყველებით, გესლიანად გამოაფურთხებთ და უნებურად წამოიძახებთ: ფუი! ქრისტემ შეაჩვენოს იმათი თავი!.. არა, მართლა უთქვამს ამის მთქმელს: „Чѣмъ больше узнаешь людей, тѣмъ больше начинаешь любить собакъ“. ფილოსოფოსი არისტიპი რომ ცოცხალი ყოფილიყო, თითქმის ყველა მეცხრამეტე საუკუნის ადამიანს მიაფურთხებდა და მერე თავისებურად მოიხდიდა ყველასთან ბოდიშს: „უკაცრაოდ, თქვენს გარდა, სხვა ადგილი ვერ გავიმეტე გამეფურთხებინაო!“

ლ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

ბისაგან, ამიტომ იმათი ერთად-ერთი ცხოვრების სახსარი მრევლიდგან შემოსავალია. ძალა რომ არ დაატანოს სოფლის მღვდელმა თავისს მრევლს, შემოსავალი არ ექნება და ამაზედ მეტი ცხოვრების სახსარი-კი არსაიდგან არ მოეძევება. რაღა კეთილი გავლენა უნდა ჰქონდეს სოფლის მღვდელს ხალხზედ, როცა იმისი მთელი ცხოვრება იმავე ხალხის ყოფა-ცხოვრებაზეა დამოკიდებული. ამ უკანასკნელს დროსაო, სწერს პობედონოსცევი ახალს თაობას ძლიერ ეძნელება სოფლის მღვდლობა და სასულიერო სემინარიაში სწავლა-დამთავრებული კაცები სხვა ხელობას ჰკიდებენ ხელსა“.

— გაზეთ „Петерб. Вѣдом.“-ში დაბეჭდილია, რომ სახელმწიფო ქონებათა მინისტრს გადაუწყვეტია, ზაფხულში გორეცკისა, ხარკოვისა, ყაზანისა, ხერსონისა და უმანის სამეურნეო სკოლებში ბაღოსნობა და ფუთკრის მოშენება ასწავლონ. სამეურნეო სკოლის მასწავლებლებს უფლება მიენიჭებათ, ხერსონისა და უმანის სამეურნეო სკოლებში ასწავლონ აბრეშუმის მოყვანა და ფუთკრის მოშენება. ამას გარდა, მომავალ წლის ზაფხულში გამართული იქნება ლექციები სოფლის მასწავლებელთათვის ქალაქ ორიოლში, პენზაში, ოდესაში და ვორონეჟის ერობის სამეურნეო სკოლაში.

## წვრილი ამბავი

წარსულს კვირას შუაზი-ლე-რუას, სადაც გარდაიცვალა რუჟე-დე-ლილი „მარსელიეზას დამწერი, და სადაც ასაფლავია, საფრანგეთში, იდღესასწაულეს ასის წლის შესრულება „მარსელიეზას“ დაწერვის შემდეგ. მოდღესასწაულენი უწინარეს ყოვლისა წავიდნენ სასაფლაოზედ, სადაც რუჟეს სამარე ყვავილებით მოჰფინეს, და შემდეგ წარემართნენ ქალაქის უმთავრესის მოედნისაკენ, სადაც აგერ უკვე რამდენიმე წელიწადია ძეგლია აგებული რუჟე-დე-ლილისა. მოდღესასწაულეთ წინ საგანგებოდ ამ დღისათვის პარიჟიდგან მოსული რაზმი რესპუბლიკის გვარდიისა მიუძღოდა. აქ წარმოსთქვეს რამდენიმე სიტყვა, რომელთა შორის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია სენატორის გობლეს ნათქვამმა. გობლემ მთელი ისტორია ჩამოსთვალა „მარსელიეზასი“, სთქვა თურმე, რომ რევოლიუციის შემდეგ ეს საგალობელი დიდხანს აოკრძალული იყოო, და შემდეგ განაგრძო:

„რესპუბლიკის დროსაც-კი მარსელიეზამ დიდის შრომითა და ბრძოლით მოიპოვა კვლავ უფლება საერო საგალობლად ყოფნისა. ჭანგი-კი უნდოდათ დაეტოვებინათ, მაგრამ სიტყვებს შეცვლას უპირებდნენ და ვერ მოახერხდა. მართლაც, მარსელიეზას მუსიკაცა და სიტყვებიც ისეა ერთად შესისხლ-ხორცებული, რომ მისი განაწილება ყოვლად შეუძლებელია. მარსელიეზას იმ ნაკლს უწუნებდნენ, მეტად სასტიკი, სარევოლიუციო ხასიათი აქვსო, მაგრამ ავიწყდებოდათ, რომ იგი მამულიშვილთა გულიდგან არის ამოკვნესილ-ამოძახილი. როდესაც ადამიანს შიში და საფრთხე რამ მოელის, განა იმ დროს იმას გულ-ჩვილობა და ზომიერება მოეთხოვება? ესეც არ იყოს, საფრანგეთში მარსელიეზა მხოლოდ მტარვალებსა და მოღალატეებს ემუქრება, საფრანგეთის გარეკი—ჩვენს შემოსეულს მტერს. რაც უნდა ბრალი დასდონ მარსელიეზას, იგი ადვილად გაიმართლებს თავს მხოლოდ სამად-სამის სიტყვით: „საფრანგეთი მე განვათავისუფლეო?“ ამ ჟამად მარსელიეზამ სრულიად დასძლია და დაამარცხა იჭვი და მიუნდობლობა ზოგიერთებისა. იგი ყველასათვის, ჩვენთვისაცა და სხვა ქვეყნელთათვისაც, საფრანგეთის საერო საგალობელი შეიქმნა, იგი მიუძღვის წინ ყოველსავე ჩვენს საზოგადო და საერთო დღესასწაულს, იგი მიუძღვის ჩვენთა ჯართა და ხომალდთ ყველგან, სადაც-კი რესპუბლიკის სამკთილდღეოდ ფეხს გადასდგამენ, და თვით უცხოელნი ხელმწიფენიც-კი პატივისცემით ისმენენ მარსელიეზას. ხოლო მარსელიეზას დიდება და სახელი მარტო ის არ არის, რომ ჩვენი საერო საგალობელია: მარსელიეზას საერთაშორისო ხასიათი აქვს და ყველა იმასა ჰგალობს, ვინც-კი სიმართლისა, თავისუფლებისა და ძმობაერთობისათვის იბრძვის“...

სიტყვების წარმოთქმა რომ დაასრულეს, მარსელიეზა დაუკრეს და იგალობეს თურმე ექვსმა საზოგადო ხორომ და სასწავლებლების მოსწავლეების ხორომ. საღამოზედ მეჯლისი იყო გამართული, ხოლო მეჯლისს შემდეგ წარმოადგინეს ახალი ხუთ-მოქმედებიანი და ცხრა-სურათიანი პატრიოტული პიესა „მარსელიეზა“.

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო კნეინა ანნა ერისთავისას, რომელმაც შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულ მტატის ეკლესიას სოფ. ქისტაურისას უსუპი და შემდეგი საეკლესიო წიგნები: ქართული კურთხევანი ვრცელი, რუსული სახარება და „ცხოვრება წმინდანებისა“.

ს. ქისტაურის მღვდელი გ. ლვინიაშვილი

## დეპეშა

27 აპრილი

ვენა. ვერზეჩის მახლობლად, ვენგრიაში, დინამიტი ააფეთქეს. აფეთქებამ ოლქის ნოტარიუსის პაპპის სახლის ერთი ნაწილი დააქცია. პაპპი მცხოვრებლებს არ უყვართ. ხალხი არავინ დაშავებულა. აფეთქების დამნაშავე შეიპყრეს ერთს სახლთან, რომელიც სამთა-მადნო საქმეში სამსახურის კაცს ეკუთვნის. ვერზეჩშიაც დინამიტის აფეთქება მოხდა, მაგრამ არაფერი არ დაშავებულა.

პეტერბურგის ბირჟა, 21 აპრილი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,63 | 7,67 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 152½ | 153¾ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1,12 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 237½ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 219½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | 197 | 198¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |


# განცხადებანი

გასაფრთხილებლად.

ჩვენს პატივცემულს მყიდველებსა ვთხოვთ, რომ მოითხოვონ ხოლმე ჩვენ მიერ გამოგონილი საპონი

ოლეო-ვაზელინის

როიალ-კონზო

მხოლოდ ჩვენის წარწერით-კი ე. ბოდლოსი და ამხ. ამ საპონმა დიდი სახელი გაითქვა და არა აქვს-რა საერთო ღირსებითა და სუნით სხვა ამ სახელის მაგვარ სახელიან საპნებთან.

საპარფიუმერო ფაბრიკა

„ვიქტორია რეგინა“

ე. ბოდლოსი და ამხ.

მოსკოვს.

ისყიდება ყველგან! (10—1)

კბილის ექიმი

ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—41)

ისყიდება

კახეთის საუკეთესო

ღვინოები

თ. ილია ჭავჭავაძისა

და სხვა მემამულეთა.

ვედრო ღირს ცხრა აბაზიდგან თორმეტ მანეთამდე, ბოთლი სამ შაურიდგან მანეთ ნახევრამდე.

სარდაფი იმყოფება შუაბაზრის თავში, წინამძღვარიშვილის სახლში, № 1.

სოლომონ ყურდღელოვი

(4—58—3)

ღვინის საწყობი თავ. ი. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკისა

(გოლოვინის პროსპექტზედ, სახლი თავ. მუხრანსკისა)

საყოველთაოდ ვაუწყებთ, რომ ამ ფირმის ღვინო ტფილისში არსად არ ისყიდება, გარდა ზემოხსენებულის საწყობისა. თუმცა გამოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც „მუხრანსკის“ ფირმით ჰყიდიან ღვინოს, მაგრამ იმათ ბაგრატიონ-მუხრანსკისთან არავითარი ერთობა არა აქვთ. (5—3)

«ქართველთა ამხანაგობის» მიერ გამოცემული

ილია ჭავჭავაძის

თხზულებათა

პირველი ტომი

(ლექსები და პოემები)

ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი გარდაეცა ამხანაგობის მაღაზიას გასაყიდად.

ფასი 1 მ. 20 კ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 40 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| აქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| ონიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . . | „ | 50 |

მაღაზია სარპინკებისა

(ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, სახლი ალაბაბოვისა).

ხელ-მოსაცემი და სარფა საზაფხულო ქსოვილი, ხელით-ნაკერები ქალებისა და ყმაწვილების ტანისამოსისათვის და აგრეთვე მამაკაცთა პერანგებისათვის

დიდ-ძალი განიერი სარპინკები ზოლებიან-არშიანები. სარპინკის წინდად საქსოვი ძაფი, სხვა-და-სხვა უხუნარის ფერისა, ჭრელ წინდებისა და ჩულქების საქსოვად.

სარპინკის ტანისამოსი ქალისა ყუთებიანად 3 მან. და 60 კაპეიკიდამ დაწყებული.

სარპინკის იუბკები 1 მან. და 80 კაპ. დაწყებული და უფრო ძვირებიც.

სარპინკის ცხვირსახოცები და თავზე-მოსახვევები.

ფაბრიკის პატრონები სავაჭრო სახლი:

ბენდერ და სცეფანოვი

(35—56—8)

ПРИДВОРНЫЕ ПОСТАВЩИКИ

А. РАЛЛЕ и К°.

НОВОСТИ! ПРИДВОРНЫЕ ДУХИ ПРИДВОРНОЕ МЫЛО ПРИДВОРНАЯ ПУДРА

ЦВѢТОЧНОЕ ГЛИЦЕРИНОВОЕ МЫЛО.

НОВОСТИ! ДУХИ БѢЛЫЙ ИРИСЪ ПЕРСИДСКАЯ СИРЕНЬ ЛАНДЫШЪ.

21 ВЫСШИХЪ НАГРАДЪ

21 ВЫСШИХЪ НАГРАДЪ

ЯИЧНОЕ МЫЛО, ИЗОБРѢТЕННОЕ НАМИ ВЪ 1846 Г.



МЫЛО КАЗАНЛЫКСКАЯ РОЗА.

ЗОЛОТАЯ МЕДАЛЬ ПАРИЖЪ 1889 Г.

ЗОЛОТАЯ МЕДАЛЬ ПАРИЖЪ 1889 Г.

О-ДЕ-КОЛОНЪ ДИСТИЛИРОВАННЫЙ НА ЦВѢТАХЪ ВСЕВОЗМОЖН. ЗАПАХОВЪ.

СПЕЦІАЛЬНО ИЗГОТОЛЕННОЕ ДѢТСКОЕ МЫЛО СЪ ГЛИЦЕРИНОМЪ

БАРХАТНАЯ ПУДРА ХОРОШО ПРИСТАЮЩАЯ НЕЗАМѢТНАЯ НА ЛИЦѢ.

А. РАЛЛЕ и К°.

ПРОИЗВЕДЕНІЯ НАШИ ПРОДАЮТСЯ ВО ВСѢХЪ ПАРФЮМЕРНЫХЪ и АПТЕКАРСКИХЪ МАГАЗИНАХЪ РОССІЙСК. ИМПЕРІИ.

(12—6)


Дозв. ценз. Тифлисъ, 28-го Апрѣля 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.